

## გილოცავთ 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებას!

გისურვებთ შემოქმედებით წინსვლას, ნაყოფიერი ყოფილიყოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტური წლები, რათა ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაამართლოთ ქვეყნის, უნივერსიტეტისა და მშობლების იმედი. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი მზადაა იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სათანადო ცოდნა, ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და გაატარონ საინტერესო სტუდენტური ცხოვრება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს გაგაცნობთ იმ რეკომენდაციებსა და პროექტებს, რომლებიც დაგეხმარებათ სწრაფ ადაპტირებაში:

- 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი იწყება 28 სექტემბერს (დისტანციურად, პირველი ოქტომბრიდან გაგრძელდება არადისტანციურ რეჟიმში) და მოიცავს 19 კვირას. აქედან 15 კვირა არის სასწავლო (სააუდიტორიო მეცადინეობები), ერთი კვირა (IX) ეთმობა შუასემესტრულ გამოცდას. სამი კვირა სესიებისთვისაა (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები. მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური დადებითი ქულა - 11). დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელია სემესტრის განმავლობაში (მიმდინარე აქტივობის და შუასემესტრული გამოცდის ჯამი) არანაკლებ 30 ქულის მოგროვება. თითოეული სასწავლო კურსი ჩაითვლება ჩაბარებულად 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. გთხოვთ არ გააცდინოთ ლექცია-სემინარები, რათა არ ჩამორჩეთ სასწავლო პროცესს და არ დაკარგოთ მიმდინარე აქტივობის შეფასებები.
- წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სახელმწიფო სტიპენდია თვეში 150 ლარის ოდენობით;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის ფაკულტეტზე დაწესებულია **3 სახელობითი სტიპენდია: ნიკო ნიკოლაძის, დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარის (100 ლარი თვეში - ერთი სემესტრის განმავლობაში):**
- დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 200 ლარით;
- ფინანსური ხელშეკრულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობამ, შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- სწავლის პერიოდში გექნებათ საშუალება მიიღოთ მონაწილეობა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, ვორკ-შოუებში, რაშიც ფინანსურ მხარდაჭერას გაგიწევთ ფაკულტეტი;
- წარჩინებულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ იმ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რომლებშიც ჩართულია სტუ;
- სწავლების მე-4 წლის სტუდენტებს ექნებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რომ გაიარონ პრაქტიკა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი;
- სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი შემოგთავაზებთ საინტერესო სტუდენტურ სერვისებს – მათ შორის ექსკურსიებს, უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა წრეებს, როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი ხასიათის შეჯიბრებებს და ა. შ.;
- ფაკულტეტი იზრუნებს, დაასაქმოს საუკეთესო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულები;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვაც სავალდებულოა;
- სავალდებულოა ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ახალი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო ყოველი სემესტრის შემდეგ – მიღწეული შედეგების გაცნობა;
- ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება საუკეთესო სტუდენტური პროექტები;
- პერიოდულად ჩატარდება საჯარო ლექციები საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორების მიერ;
- სწავლის პერიოდში თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

გისურვებთ წარმატებებს!

## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი იწყება 28 სექტემბერს და მოიცავს 19 კვირას, აქედან 15 კვირა არის სასწავლო (სააუდიტორიო მეცადინეობები), ერთი კვირა (IX) ეთმობა შუასემესტრულ გამოცდას. სამი კვირა სესიებისთვის (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები. მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური დადებითი ქულა – 21). ფინალურ გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელია სემესტრის განმავლობაში (მიმდინარე აქტივობის და შუასემესტრული გამოცდის ჯამი) არანაკლებ 30 ქულის მოგროვება. საგანი ჩაითვლება ჩაბარებულად 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. **გთხოვთ არ გააცდინოთ ლექცია-სემინარები, რათა არ ჩამორჩეთ სასწავლო პროცესს და არ დაკარგოთ მიმდინარე აქტივობის შეფასებები.**

- სავალდებულოა ფინანსური ხელშეკრულების დადგენილ ვადაში შესრულება, რათა არ შეგიჩერდეთ სტუდენტის სტატუსი;
- სწავლის პერიოდში გექნებათ საშუალება მიიღოთ მონაწილეობა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, ვორქ-შოფებში, რაშიც ფინანსურ მხარდაჭერას გაგიწევთ ფაკულტეტი;
- წარჩინებულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ იმ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რომლებშიც ჩართულია სტუ;
- სწავლების მე-2 წელს სტუდენტებს ექნებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რომ გაიარონ პრაქტიკა და სტაჟირება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი;
- სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი შემოგთავაზებთ საინტერესო სტუდენტურ სერვისებს – მათ შორის ექსკურსიებს, უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა წრეებს, როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი ხასიათის შეჯიბრებებს და ა. შ.;
- ფაკულტეტი იზრუნებს, დაასაქმოს საუკეთესო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულები;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვაც სავალდებულოა;
- სავალდებულოა ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ახალი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო ყოველი სემესტრის შემდეგ – მიღწეული შედეგების გაცნობა;
- ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება საუკეთესო სტუდენტური პროექტები;
- პერიოდულად ჩატარდება საჯარო ლექციები საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორების მიერ;
- სწავლის პერიოდში თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

**გისურვებთ წარმატებებს!**